ორი “დინამოს” შეხვედრა

18 სექტემბერს საღამოს 5 საათზე ამხ. ლ. ბერიას სახ. სტადიონზე სსრ კავშირის პირველობაზე ერთმანეთს შეხვდნენ სსრ კავშირის ორი უძლიერესი კოლექტივი _ მოსკოვისა და თბილისის “დინამოს” გუნდები.

მოსკოვის დინამო თამაშობდა შემდეგი შემადგენლობით: მეკარე _ ე. ფოკინი. მცველები _ ვ. ტეტერინი და ა. კორჩებოკოვი. ნახევარდაცვა _ ა. ლაპსინი, ე. ელისეევი, ა. ჩერნიშევი. თავდასხმა _ ა. პონომაროვი, მ. იაკუშინი, ვ. სმირნოვი, მ. სემიჩასტნი და ს. ილინი (გუნდის კაპიტანი).

თბილისის “დინამო”: მეკარე _ ა. დოროხოვი. მცველები _ შ. შავგულიძე (გუნდის კაპიტანი) და ე. ნიკოლაიშვილი, ნახევარდაცვა _ გ. გაგუა, მ. მინაევი და ვ. ჯორბენაძე. თავდასხმა _ თ. გავაშელი, მ. ბერძენიშვილი, ბ. პაიჭაძე, მ. ასლამაზოვი და ნ. სომოვი.

მეტად საინტერესო და მწვავე ბრძოლის შემდეგ თამაში დამთავრდა მოსკოველთა ბრწყინვალე გამარჯვებით 4:0.

“ახალგაზრდა კომუნისტი”, 21 სექტემბერი, 1937 წ.